

ეჯაილ მეთოდოლოგიის მიმღებლობასთან დაკავშირებული ბარიერები
მცირე და საშუალო ზომის ქართულ კომპანიებში

დავით ქობულაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მიქავა, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დავით ქობელაშვილი

03.07.2022

მადლობის გვერდი

მსურს მადლობა მოვუხადო სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელ, ნინო მიქავას რჩევებისა და დახმარებისთვის.

ასევე კვლევაში მონაწილე რესპოდენტებს გამოყოფილი დროისთვის.

ავტორი,

დავით ქობელაშვილი

აბსტრაქტი

გარემოს აჩქარებულმა ტემპმა ორგანიზაციები საჭიროების წინაშე დააყენა შეემცირებინათ შესასრულებელი ოპერაციების ხანგრძლივობა, რამაც თანდათან უფრო პოპულარულ მართვის ფორმად ჩამოაყალიბა ეჯაილ მეთოდოლოგია. პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში დასაქმებულებმა შენიშნეს, რომ არსებული მართვის სტილით, ვერ ესწრებოდა მომხმარებლების მუდმივად ცვალებადი მოთხოვნილებების ხარისხიანად შესრულებას. სწორედ ამის შემდგომ დაიწყო ტრადიციული მეთოდოლოგიის ეჯაილით ჩანაცვლება. ეჯაილ მეთოდოლოგიის აქტუალურობის მიუხედავად, საქართველოში მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციების არსებულ რეალობაზე საკმაოდ მწირი ინფორმაცია არსებობს. დეფიციტურია სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ ენაზე, ინფორმაცია იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც ახლა არიან ეჯაილ ტრანსფორმაციის პროცესში, და რამდენად წარმატებით უმკლავდებიან ამ პროცესებს.

წინამდებარე ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს გამოავლინოს ეჯაილ მეთოდოლოგიის მიმღებლობასთან დაკავშირებული ბარიერები და გამოწვევები მცირე და საშუალო ზომის ქართულ კომპანიებში. განისაზღვროს რამდენადაა მზაობა ამ მეთოდოლოგიის მიმღებლობისთვის და დაგროვდა თუ არა საკმარისი გამოცდილება ამ კონკრეტული მართვის ფორმის პრაქტიკაში წარმატებით განსახორციელებლად.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, გამოკითხვა სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნენ რესპოდენტები, რომლებსაც გააჩნიათ ეჯაილ მეთოდოლოგიით მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. გამოკითხვის შედეგებმა გამოავლინა, რომ მეთოდოლოგიის მიმღებლობისთვის მთავარ ბარიერებს წარმოადგენს: შეუსაბამო გამოცდილება, ტრენინგების ნაკლებობა და გუნდის წევრების მხრიდან წინააღმდეგობა ცვლილებების მიმართ.

საკვანძო სიტყვები: ეჯაილ ტრანსფორმაცია, ეჯაილი, ბარიერები .

Abstract

The accelerated pace of the environment has put organizations in need of reducing the length of operations to be performed, which has gradually established the Agile methodology as a more popular form of management. Employees in the software industry have noticed that with the current management style, it was not possible to meet the quality needs of the ever-changing recruitments of users. It was after this that the traditional methodology was replaced by Agile.

Despite the urgency of the Agile methodology, there is very little information about the reality in practice for small and medium-sized organizations in Georgia. There is a lack of scientific literature in Georgian, information on the organizations that are currently in the process of transformation, and how successfully they are coping with these processes.

The aim of the research is to identify the barriers and challenges that small and medium-sized Georgian companies may face when changing the methodology. To what extent is readiness for acceptance of this methodology and whether sufficient experience has been accumulated to successfully implement this particular form of management in practice.

The paper conducted a quantitative survey interviewing respondents who have sufficient practical experience to identify barriers to admission. The results of the survey revealed that the main barriers to the acceptance of the methodology are: inadequate experience, lack of training, resistance from team members to change.

Key words: Agile transformation, Agile, barriers.